მზად ვართ პირველკლასელების დასახვედრად

ბავშვების სკოლაში ტრანზიციის მხარდაჭერის სახელმძღვანელო

2020 წ.

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION

სახელმძღვანელო შექმნილია არასამთავრობო ორგანიზაციის „ინოვაციები ინკლუზიური საზოგადოებისათვის“ მიერ, „საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის“ მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში - „ტრანზიციის პრაქტიკის მდგრადად ინტეგრირება ადრეული და დაწყებითი განათლების სისტემაში - III ფაზა“. ავტორების მიერ გზამკვლევში ასახული ინფორმაცია შესაძლოა არ გამოხატავდეს საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The Guide is developed by Non-governmental organization “Innovations for Inclusive Society” Inovations within the frames of the project “Integrated Sustainable Transition Practices for Early and Primary Inclusive Education (III Phase). The views, opinions and statements expressed by the authors are theirs only and do not necessarily reflect the position of the Foundation. Therefore, the Open Society Foundation - Georgia is not responsible for the content of the information material.

გზამკვლევბზე მუშაობდა:

მაია წულაძე

ვისთვის არის სახელმძღვანელო

სახელმძღვანელო „მზად ვართ პირველკლასლების დასახვედრად“ შემუშავებულია ზოგადი განათლების საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის და მიზნად ისახავს საქართველოს საჯარო სკოლებში მომავალი პირველკლასელების სკოლაში ტრანზიციის ეფექტიანი პრაქტიკის დამკვიდრების ხელშეწყობას.

რას ეხება სახელმძღვანელო

სახელმძღვანელოში განხილულია ის მიდგომები და ღონისძიებები, რომლებიც მიზანშეწონილია შეიმუშავონ და დანერგონ საქართველოს საჯარო სკოლებმა პირველკლასელთა სკოლაში ეფექტიანი ჩართვისა და სასწავლო პროცესის მაქსიმალურად პოზიტიურად დაწყების ხელშესაწყობად.

დოკუემნტში წარმოდგენილი ხედვა და მოდგომები ეფუძნება როგორც სკოლაში ბავშვების ტრანზიციის თანამედროვე საერთაშორისო გამოცდილებას და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ პრაქტიკას, ასევე, საქართველოს გამოცდილებას და ითვალისწინებს ადგილობრივი კონტექსტის თავისებურებებს.

როგორ შეუძლია სკოლას სახელმძღვანელოს გამოყენება

დოკუმენტში წარმოდგენილ მიდგომებსა და პროცედურებზე დაფუძნებით, მიზანშეწონილია, რომ ცალკეულმა სკოლამ შეიმუშაოს ბავშვების, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების, ტრანზიციის ხელშეწყობის შიდა პოლიტიკა, მასთან დაკავშირებული რეგულაციები და ტრანზიციის პროგრამა.

რატომ არის საჭირო სკოლაში ტრანზიციის პროგრამა

სკოლის დაწყება ყველა ბავშვისთვის განსაკურებულ ცხოვრებისეულ მოვლენას წარმოადგენს, რომლის შესახებაც მოგონებები შესაძლოა ბავშვს მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვეს. არანაკლებ ემოციური გამოცდილებაა ბავშვის სკოლაში შესვლა მშობლებისთვის.

შეიძლება ითქვას, რომ სკოლის დაწყება ბავშვისა და მისი ოჯახისთვის ახალ ცხოვრებისეულ ეტაპს წარმოადგენს და უნიკალურ გამოცდილებას უკავშირდება. უნიკალურია ის გამოწვევებიც, რომელთა დაძლევაც მოუწევთ ბავშვებსა და მათ ოჯახებს აღნიშნულ პროცესში. კვლევების თანახმად, ბავშვების დიდი ნაწილისთვის სკოლის დაწყების გამოცდილება კულტურულ შოკსაც კი უკავშირდება (Brostrom, S 2007). სკოლაში ტრანზიცია, რომელიც ყველა ბავშვისთვის კომპლექსურ ცხოვრებისეულ ცვლილებასთან არის დაკავშირებული, კიდევ უფრო სტრესული და გამოწვევებით სავსე შეიძლება აღმოჩნდეს სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისა და მათი ოჯახებისთვის (Rosier, K., McDonald, M., 2011).

ტერმინი „ტრანზიცია“

ჩვენი სახელმძღვანელოს კონტექსტში, ტერმინი **„ტრანზიცია“** განიხილება, როგორც **პროცესი,** რომელიც მოიცავს ბავშვის, მათ შორი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის, შესვლას და/ან გადასვლას სხვადსხვა სოციალური და საგანმანათლებლო მომსახურებიდან ან ოჯახიდან ზოგადი განათლების სისტემაში.

სკოლაში ტრანზიციისადმი განსაკუთრებულად მოწყვლადი შეიძლება აღმოჩნდნენ ბავშვები:

- ✓ რომელთაც განვითარებისა და სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები აქვთ ან ასეთი რისკის ქვეშ იმყოფებიან;
- ✓ სოციალურად დაუცველი ან ლინგვისტური უმცირესობის წარმომადგენელი ოჯახებიდან;
- ✓ რომლებმაც გადაიტანეს მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური სტრესი (მაგ.: მშობელთა განქორწინება, მათი ავადმყოფობა, ოჯახის წევრის დაკარგვა, იძულებით გადაადგილება, ძალადობა და ა.შ.).

იმისათვის, რომ ბავშვების სკოლაში გადასვლა-შესვლის პროცესი მაქსიმალურად უმტკივნეულოდ და მომზადებულად წარიმართოს, სკოლას ბავშვების ტრანზიციის ხელშეწყობის პროგრამა უნდა გააჩნდეს, რომელიც ყველა ბავშვისთვის განსაზღვრულ გარკვეულ სტანდარტულ პროცედურებთან ერთად, ცალკეული ბავშვისთვის გაფართოებულ და სპეციფიკურ მხარდაჭერასაც გაითვალისწინებს.

ტრანზიციის ყველა პროგრამის ძირითადი მიზანია, დაეხმაროს ბავშვსა და ოჯახს თავი მორგებულად იგრძნოს ახალ გარემოში *(Brostrom, S 2004).*

რა გამოწვევების წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს ბავშვი სკოლაში ტრანზიციისას?

- ✓ ნაცნობი და ჩვეული გარემოს (მაგ. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების) დატოვება/შეცვლა;
- ✓ ახალი, განსხვავებული და მეტად სტრუქტურირებული დღის რუტინა;
- ✓ თვისებრივად განსხვავებული აქტივობები და აქტივობების თავად შერჩევის ნაკლები შესაძლებლობა;
- ✓ განსხვავებული ფიზიკური გარემო (მაგ.: დიდი და ორიენტაციის თვალსაზრისით შედარებით რთული სივრცე, ხმაური, განსხვავებული ავეჯი და სასკოლო ინვენტარი);
- ✓ ბევრი ახალი, უცხო ბავშვი და ზრდასრული, ახალი ურთიერთობების/კავშირების დამყარების საჭიროება;
- ✓ განსხვავებული და მნიშვნელოვნად გაზრდილი მოთხოვნები/მოლოდინები ბავშვის მიმართ, განსხვავებული და უფრო კომპლექსური წესები;
- ✓ მეტი ავტონომიურობის საჭიროება და პასუხისმგებლობები;

რა კითხვები და შფოთვები შეიძლება ჰქონდეთ მშობლებს ბავშვის სკოლაში ტრანზიციასთან დაკავშირებით?

- ✓ როგორ დარჩება ბავშვი სკოლაში მარტო
- ✓ როგორი იქნება სკოლის პერსონალის, ადმინისტრაციის მიმღებლობა ბავშვის მიმართ და მხარდაჭერა
- ✓ რა ხდება სკოლაში სასწავლო დღის მანძილზე და როგორ იქნება სკოლის აქტივობებში, საგაკვეთილო პროცესში ჩართული მისი შვილი
- ✓ რამდენად შეძლებენ მასწავლებლები და/ან სპეციალისტები ბავშვის მიმდინარე აქტივობებში ჩართვას
- ✓ რა რესურსები აქვს სკოლას მისი შვილის სწავლის მხარდასაჭერად
- ✓ როგორ მოახერხებს ბავშვი სკოლის ტუალეტის გამოყენებას, რამდენად შეძლებს სკოლის გარემოში/სივრცეში ორიენტირებას
- ✓ რამდენად შეძლებს ბავშვი მისთვის საჭირო დახმარების მოთხოვნას და გამოყენებას
- ✓ რამდენად უსაფრთხოდ იქნება ბავშვი სკოლაში
- ✓ რამდენად შეძლებს ბავშვი მეგობრების შეძენას, თანატოლებთან ურთიერთობას
- ✓ როგორ მიიღებენ მის შვილს სხვა ბავშვები
- ✓ რამდენად პოზიტიური იქნება მასსა და სხვა მშობლებს შორი ურთიერთობა
- ✓ რამდენად შედეგიანი იქნება სკოლაში სწავლა მისი შვილისთვის

ტრანზიციის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი პროცესი მინიმუმამდე ამცირებს სპონტანურობასა და მოულოდნელობებს როგორც ერთი გარემოდან/მომსახურებიდან მეორეში გადასვლამდე და უშუალოდ გადანაცვლების პროცესში, ასევე, მას შემდეგაც.

ბავშვი, რომელიც სკოლას დადებითი გამოცდილებებით იწყებს, შემდგომშიც თავს კომფორტულად, დაცულად და მშვიდად გრძნობს საგანმანათლებლო გარემოში, გამოხატავს სწავლისადმი მეტ მონდომებასა და მოტივაციას, ეფექტურად ამყარებს კომუნიკაციას და უყალიბდება სკოლის თემისადმი მიკუთვნილება.
გამომდინარე იქიდან, რომ სკოლის წარმატებულად დაწყება ბავშვებისთვის საკმაოდ გრძელვადიან პოზიტიურ შედეგებს უკავშირდება, განვითარებული ქვეყნების თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბავშვების უმტკივნეულო გადასვლას (გადაცილებას) ერთი სისტემიდან მეორეში.

ტრანზიციის პროცესში ბავშვთან დაკავშირებულ ყველა პირსა და მხარეს - ოჯახს, სკოლამდელ დაწესებულებას, ადრეული განვითარების მომსახურებას და სკოლას, საკუთარი პასუხიმგებლობები გააჩნია და

რას გვეუბნება კვლევები ბავშვის სკოლაში ტრანზიციაზე?

- ტრანზიციის პროცესში გადამწყვეტია, რომ ბავშვს მიეცეს შესაძლებლობა, განსაზღვროს თუ რა ელის, ჰქონდეს გარემოზე მაქსიმალური კონტროლი და შესაძლებლობების ფარგლებში, იცოდეს როდის მოხდება ეს ცვლილება, ვინ იქნებიან პროცესში ჩართული პირები (ნაცნობი, უცნობი, ახლად გაცნობილი) და რა მოლოდინები არსებობს ახალ გარემოსთან მიმართებით (ფაბიანი & დუნლოპი, 2002).
- სკოლის პოზიტიური დაწყება ანუ სკოლაში პოზიტიური ტრანზიცია უკავშირდება რიგ დადებით შედეგებს ბავშვებში (Dockett and Perry 2007).
- სკოლასთან დაკავშირებულ ადრეულ პოზიტიურ გამოცდილებას, შეუძლია უზრუნველყოს ბავშვის ოპტიმალური განვითარება და კეთილდღეობა, ასევე, გავლენა იქონიოს სამომავლო მოლოდინებსა და გამოცდილებაზე, როგორც სკოლაში, ასევე მის საზღვრებს გარეთ (Entwhistle and Alexander, 1998)

სწორედ პროცესში ჩართული ყველა მხარის კომუნიკაციასა და თანამშრომლობაზეა დამოკიდებული ტრანზიციის პროგრამის ეფექტიანობა და ხარისხი *(Margetts, K 2004).*

დღესდღეობით, ბევრ ქვეყანას წარმატებით აქვს დანერგილი ტრანზიციის ხელშემწყობი ის მექანიზმები, რომლებიც ბავშვს და მის გარემოცვას სკოლის დაწყებით განპირობებული სიახლეებისა და ცვლილებებისთვის ამზადებს და სკოლაში ტრანზიციის პროცესს ყველა ჩართული მხარისთვის აადვილებს. აღსანიშნავია, რომ ტრანზიციის პოლიტიკის შემუშავებასა და მასთან დაკავშირებული მხარდამჭერი მექანიზმების დანერგვაზე მუშაობა 2018 წლიდან საქართველოშიც დაიწყო.

სკოლაში ტრანზიციის ხელშეწყობის პროგრამა

სკოლაში ტრანზიციის ხელშეწყობის პროგრამა წარმოადგენს ცალკეული სკოლის მიერ შემუშავებულ, დროში განსაზღვრულ იმ ღონისძიებებისა და აქტივობების ერთობლიობას, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ სტანდარტულად უნდა განახორციელოს მომავალი პირველკლასელებისთვის სკოლის დაწყების ხელშესაწყობად.

სკოლის სტანდარტული ტრანზიციის პროგრამის ფარგლებში, შესაძლოა ზოგიერთ ბავშვს დამატებითი, სპეციფიკური მხარდაჭერა და ინდივიდუალურად განსაზღვრული პროცედურები და ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმა დასჭირდეს. შესაბამისად, აუცილებელია, რომ სკოლის ტრანზიციის ხელშეწყობის პროგრამა და მასთან დაკავშირებული პრაქტიკა, ინკლუზიურობის პრინციპს ეფუძნებოდეს და ყველა ბავშვისა და ოჯახის სკოლაში ტრანზიციასთან დაკავშირებულ უნიკალურ საჭიროებებს ეხმიანებოდეს.

სკოლის მიერ შემუშავებული ტრანზიციის ხელშელშეწყობის პროგრამა, სტანდარტულად გარკვეულ კომპონენტებს უნდა ითვალისწინებდეს, რომელთა პრაქტიკაშიც დაზუსტება და განხორციელების გზების შემუშავება, ცალკეულ სკოლას თავისებურად შეუძლია.

გამომდინარე იქიდან, რომ სკოლაში ტრანზიცია არა ერთჯერად მოვლენას, არამედ პროცესს წარმოადგენს, მიზანშეწონილია, რომ სკოლა ტრანზიციის პროგრამის მომზადებას და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაგეგმვას ახალ სასწავლო წლამდე სულ მცირე ერთი წლით ადრე იწყებდეს და ბავშვის მიერ სკოლის ფორმალური დაწყების შემდგომაც აგრძელებდეს მანამ, სანამ ბავშვი სკოლასთან შეგუებას არ გამოავლენს და სკოლის თემის სრულფასოვანი წევრი არ გახდება. შეიძლება ითქვას, რომ სკოლის ტრანზიციის პროგრამა პრაქტიკის განვითარებაზე ორიენტირებულ, უწყვეტ, ციკლურ პროცესს წარმოადგენს - მაშინ, როდესაც სკოლა ასრულებს ახლად მიღებული პირველკლასელების ტრანზიციას და ახდენს განხორციელებულ პროცესზე რეფლექსიას, უკვე იწყებს მომავალი პირველკლასელების მისაღებად მზადებას.



სკოლის ტრანზიციის პროგრამის მნიშვნელოვანი კომპონენტები:

- ❖ ტრანზიციის ხელშეწყობის პროცესის ადრეული ინიცირება და სკოლასა და ოჯახს შორის კომუნიკაცია;
- ❖ ტრანზიციის პროცესისის კოორდინატორის/მხარდამჭერი პირის/ ჯგუფის განსაზღვრა;
- ❖ თემში არსებულ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებთან თანამშრომლობა და ერთობლივი ღონისძიებების განხორციელება;
- ❖ მიმღები კლასების ადრეული დაკომპლექტება და კლასის დამრიგებლის განსაზღვრა;
- ❖ სკოლაში ბავშვებისა და მშობლების საორიენტაციო ვიზიტების ორგანიზება;
- ❖ განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისთვის დამატებითი/გაფართოებული მხარდაჭერის უზრუნველყოფა;
- ❖ სკოლის დაწყების შემდგომი მხარდაჭერა - პირველი დღეები სკოლაში;
- ❖ მხარდაჭერილი ტრანზიციის შედეგები - ტრანზიციის პროცესის შეფასება;

ტრანზიციის ხელშეწყობის პროცესის ადრეული ინიცირება და სკოლასა და ოჯახს შორის კომუნიკაცია

ტრანზიციის პროცესის ადრეული ინიცირება გულისხმობს, რომ ახალი სასწავლო წლიდან სკოლა უკვე იწყებს ზრუნვას მომავალი პირველკლასელების მისაღებად საჭირო ღონისძიებების დაგეგმვაზე და ყოველი ახალი პროგრამის შემუშავებისას, ითვალისწინებს ტრანზიციის წინარე პროცესით მიღებულ გამოცდილებას. განხორციელებული პროცესის შეფასებისა და ახალი პროგრამის დასაგეგმად, სკოლას შემუშავებული უნდა ჰქონდეს ტრანზიციის თვითრეფლექსიის კითხვარი. აღნიშნული კითხვარის გამოყენება მნიშვნელოვანია ტრანზიციის ციკლის ყველა ეტაპზე - დაგეგმვის, უშუალოდ განხორციელების და დასრულების.

ამასთანავე მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ პროაქტიული როლი შეასრულოს სასწავლო წლის დაწყებამდე, მომავალი პირველკლასელების და მათი ოჯახების გაცნობისთვის და მათთვის სკოლის გასაცნობად სათანადო პირობები შექმნას.

მოცემულ თავში, სკოლის მიერ მომავალ პირველკლასელებთან და მათ ოჯახებთან ადრეული კომუნიკაციის რამდენიმე მაგალითია წარმოდგენილი.

რეგისტრაციის ფორმა სკოლით დაინტერესებული მშობლებისთვის

სკოლას შეუძლია საკუთარ ვებ გვერდზე სპეციალური რეგისტრაციის ფორმა განათავსოს, რომლის საშუალებითაც დარეგისტრირებას სკოლით დაინტერესებული მშობლები

პირველკლასელების ოფიციალურ რეგისტრაციამდე შეძლებენ. საპასუხოდ, სკოლას მთელი წლის განმავლობაში შესაძლბლობა ექნება საორიენტაციო შეხვერები მოუწყოს დაინტერესებულ მშობლებს ან/და კომუნიკაციის სხვა საშუალებებით (მაგ.: დეტალური წერილობითი ინფორმაცია, სატელეფონო კომუნიკაცია), უკეთ გააცნოს მშობლებს სკოლის გარემო და მათ საბოლოო არჩევანის გაკეთებასი დაეხმაროს.

ღია ბარათი სკოლაში დარეგისტრირებული ბავშვებისა და მშობლებისთვის

სკოლას შეუძლია ოფიციალური რეგისტრაციის გავლის შემდეგ, ყველა მომავალ მოსწავლეს/მშობელს მისასალმებელი მოკლე ტექსტური შეტყობინება ან/და ღია ბარათი გაუგზავნოს იმის ნიშნად, რომ სკოლაში მათ ელიან.

მისასალმელები ბარათის მაგალითი:

> **მივირფასო პირველკალსელო და მშობლებო, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება სკოლაში!**
>
> თქვენ დარეგისტრირდით ჩვენ სკოლაში და ახალი სასწავლო წლიდან სკოლის თემის სრულფასოვანი წევრი გახდებით.
>
> იმისათვის, რომ ბავშვს სკოლაში ჩართვა გაუადვილდეს, გვინდა შემოგთავაზოთ სკოლის დაწყების მხარდამჭერი პროგრამა.
>
> ტრანზიციის პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ ჩვენი სკოლის ვებ გვერდზე: www.schoolforall.ge ან დაგვიკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: XXX XXXXXX
>
> **დიდი მადლობა ჩვენი სკოლის შერჩევისა და ნდობისთვის**
>
> **თქვენი სკოლა გელით!**

სკოლის საინფორმაციო ბროშურა

მნიშვნელოვანია, რომ სკოლის შესახებ ინფორმაცია მაქსიმალურად ხელმისაწვდომი იყოს მშობლებისთვის. აღნიშნული მიზნით, რეკომედებულია სკოლას მომზადებული ჰქონდეს საინფორმაციო ბროშურა, რომელიც სკოლის შესახებ ინფორმაციას მარტივად და ყველასათვის ხელმისაწვდომად გააცნობს სკოლით დაინტერესებულ ოჯახებს. აღნიშნული ბროშურა ელექტრონული სახით სკოლის ვებ გვერდზე შეიძლება განთავსდეს და თემში - პოლიკნინიკებსა და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში, გაზიარდეს. ბროშურა შეიძლება მოიცავდეს როგორც ასევე, უშუალოდ სკოლაში ტრანზიციაც ეხებოდეს.

რა საკითხებს შეიძლება მოიცავდეს სკოლის საინფორმაციო ბროშურა:

- ბავშვების სკოლაში ტრანზიციის ხელშეწყობის პოლიტიკა და პრაქტიკა
- სკოლაში არსებული დამატებითი წრეები და სერვისები
- სკოლაში მოქმედი სპეციალისტები
- სკოლის ფიზიკური გარემო
- მშობლებთან კომუნიკაციის და თანამშრომლობის ფორმები
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის არსებული მხარდაჭერა
- და ის სხვა ინფორმაცია, რომელის გაზიარებასც სკოლა მნიშვნელოვანად მიიჩნევს

სკოლის საინფორმაციო ბროშურის მაგალითი წარმოდგენილია დოკუმენტის ბოლოში.

სკოლის ალბომი

სკოლას შეუძლია საკუთარი გარემოს შესახებ ვიზუალური მასალა - ფოტო ალბომი ან სკოლაში ვიზიტის ვიდეო რგოლი მოამზადოს, რომელშიც ასახული იქნება სკოლის სხვადასხვა ფიზიკური სივრცე და ბავშვებსა და მშობლებს სკოლის გარემოს გაცნობის შესაძლებლობას მისცემს. აღნიშნული ფოტო ალბომი ან/და ვიდეო რგოლი სკოლის ვებ გვერდზე შეიძლება განთავსდეს და ხელმისაწვდომი იყოს სკოლით დაინტერესებული მშობლებისა და მათი ბავშვებისთვის.

ბავშვის გასაცნობი ფორმა

მომავალი პირველკლასელების წინასწარ გასაცნობად, სკოლას შეუძლია ელექტრონული კითხვარი განათავსოს საკუთარ ვებ გვერდზე რომელშიც მშობლები ბავშვის შესახებ მნიშვნელოვან ინფომაციას შეიტანენ. აღნიშნული ინფორმაცია სკოლას შესაძლებლობას მისცემს განსაზღვროს თუ რომელი ბავშვი რა გამოწვევის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს ახალ გარემოში გადმოსვლისას და ვისთვის რა ტიპის დამატებითი მხარდაჭერის აღმოჩენა იქნება აუცილებელი.

ბავშვის უკეთ გაცნობასა და დახვედრაში სკოლას შემდეგი ინფორმაცია დაეხმარება:

- ბავშვის ინტერესები, ძლიერი მხარეები და შესაძლებლობები
- რა ტიპის გადაუდებელი დახმარება შეიძლება დასჭირდეს ბავშვს და როგორ შეიძლება ასეთ დროს იმოქმედოს სკოლამ
- ბავშვის უსაფრთოებასთან დაკავშირებული ინფორმაცია
- ბავშვის თვითმოსახურების უნარებთან, ავტონომიურობასთან დაკავშირებული ინფორმაცია

- რა დაეხმარება ბავშვს სკოლის გარემოში დამშვიდებასა და სასწავლო აქტივობებში ჩართვაში (მაგ.: მოძრაობის შესაძლებლობის მიცემა, დროებით განმარტოვება და სხვა)
- ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა დაეხმარება ბავშვს სხვებთან კომუნიკაციაში
- ბავშვის სწავლის სტილი და მიდგომები, სტრატეგიები, რომლებიც განსაკუთრებულად კარგად მუშაობს ბავშვთან; ის, რაც ბავშვს მაგალითად ბაღის გარემოში ეხმარებოდა
- ენა, რომელსაც ბავშვი და ოჯახი იყენებს
- მშობლების მოლოდინები, წუხილები, შფოთვები ბავშვის სკოლაში ჩართვასთან დაკავშირებით და ა.შ.
- ხომ არ მოდის ამავე სკოლაში ბავშვის მეგობარი/მისთვის კარგად ნაცნობი სხვა ბავშვი
- ინფორმაცია ბავშვის ჯანმრთელობის შესახებ
- სპეციალური საჭიროებების არსებობის შესახებ ინფორმაცია და ის ადაპტაციები და მხარდაჭერა, რაც ბავშვს სჭირდება ან/და შესაძლოა დასჭირდეს სკოლის გარემოში
- ბავშვის სპეციფიკური რუტინა (მაგ.: ბავშვს შესაძლოა პერიოდულად სარეაბილიტაციო პროცედურების გავლა უწევდეს, რომელიც სასკოლო დროს ემთხვევა)
- სხვა დამატებითი მხარდაჭერა რაც ბავშვის სკოლაში ტრანზიციის პროცესს გაუადვილებს

ბავშვის გასაცნობი ფორმის ნიმუში

ბავშვის სახელი და გვარი:	**ბავშვის პ/ნ:**
ბავშვის საცხოვრებელი მისამართი:	**ბავშვის ასაკი:** **დაბადების თარიღი:**
მშობლის სახელი და გვარი:	**მშობლის საკონტაქტო ინფორმაცია:** **მობ.:** **ელ ფოსტა:**
დადის თუ არა ბავშვი ბაღში, თუ კი, რომელში:	**დადის თუ არა რაიმე წრეზე, თუ კი, რომელზე:**
გვიამბეთ თქვენ ბავშვზე ..... მაგალითად: რისი კეთება უყვარს? რა გამოსდის განსაკუთრებულად კარგად? რა არ უყვარს განსაკუთრებულად? რა სახელით მიმართავთ სახლში? ხომ მოდის ამავე სკოლაში მისი მეგობარი/მისთვის კარგად ნაცნობი ბავშვი? რა ეხმარება სწავლაში? რა ეხმარება ურთიერთობების დამყარებაში? რა ეხმარება ახალ გარემოსთან შეგუებაში?	
ის, რაც უცილებლად უნდა ვიცოდეთ თქვენ ბავშვზე ..... მაგალითად: ხომ არ აქვს რაიმეზე ალერგია? ხომ არ აქვს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რაიმე საჭიროებები, რაც ჩვენ სკოლის გარემოში უნდა გავითვალისწინოთ? ხომ არ საჭიროებს თვითმომსახურების აქტივობების დროს დახმარებას? რაში საჭიროებს განსაკუთრებულ ხელშეწყობას? ხომ არ ახასიათებს ქცევა, რომელიც მის უსაფრთხოებას რისკის ქვეშ აყენებს? ხომ არ	

აქვს ბავშვს სპეციალური/განსაკუთრებული საჭიროებები და ხომ არ საჭიროებს სპეციფიკურ მხარდაჭერას? ხომ არ აქვს სპეციფიკური რუტინა?	
გვიამბეთ თქვენი ოჯახის შესახებ .... მაგალითად: ოჯახის წევრები და ბავშვისთვის მნშვნელოვანი ადამიანები? ოჯახში საკომუნიკაციო ენა? თქვენი მოლოდინები და წუხილები ბავშვის სკოლაში წასვლასთან დაკავშირებით? სხვა მნიშვნლოვანი ინფორმაცია, რომლის ჩვენთვის გაზიარებასაც ისურვებდით?	
სკოლაში პირველი დღეები... რა შეიძლება ბავშვს განსაკუთრებულად გაუჭირდეს სკოლის დაწყების პირველ დღეებში და რა დაეხმარება მას? მაგალითად: როგორი რექცია შეიძლება ჰქონდეს პირველ დღეს შედარებით ხალხმრავალ და ხმაურიან გარემოში? როგორი რეაგირება შეიძლება ჰქონდეს ზარის ხმაზე? რამდენად შეძლებს მშობლის გარეშე დარჩენას?	

მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ მშობლებისგან მიღებული ინფორმაცია სათანადოდ დაამუშავოს რაც ცალკეული ბავშვის შემთხვევაში, სათანადო რეაგირების და მხარდაჭერის დაგეგმვის შესაძლებლობას მისცემს.

ბავშვის სახელი, გვარი:			**თარიღი:**
გამოვლენილი საჭიროებების შეჯამება (რა ვიცით?)	საჭირო ინფორმაცია (დამატებით რა უნდა ვიცოდეთ?)	მოქმედებები (რა უნდა გავაკეთოთ?)	როლები და პასუხისმგებლობები (ვინ გააკეთებს?)

იმ შემთხვევაში, თუ მშობელი კითხვარში ბავშვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსს) არსებობას აღნიშნავს, მიზანშეწონილია სკოლა დაუკავშირდეს მშობელს და ერთი მხრივ უფრო სრულყოფილი ინფორმაცია მიაწოდოს სკოლაში სსს მქონე მოსწავლეებისთვის არსებული მხარდაჭერის შესახებ და მეორე მხრივ, თავადაც მეტი ინფორმაცია მოიძიოს ბავშვის საჭიროებების შესახებ. სკოლას შეუძლია მშობელთან თანამშრომლობით ბავშვის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოიპოვოს ბავშვთან დაახლოებული სხვადასხვა პირისგან (მაგ.: სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების აღმზრდელი, ადრეული განვითარების სპეციალისტი და/ან თერაპევტი, სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის წევრები). ამასთანავე, სკოლამ შეიძლება მშობელს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ მომზადებული ბავშვის პორტფოლიოს გაცნობა სთხოვოს.

ტრანზიციის კოორდინატორის/მხარდაჭერის განსაზღვრა

სკოლამ უნდა განსაზღვროს მომავალი პირველკლასელების ტრანზიციაზე პასუხისმგებელი პირი ან პირთა ჯგუფი. ტრანზიციაზე პასუხისმგებელი პირი/ჯგუფი წარმოადგენს მთავარ საკონტაქტოს სუბიექტს როგორც სკოლის ადმინისტრაციისა და პერსონალისთვის, ასევე მშობლებისთვის. ტრანზიციაზე პასუხისმგებელი პირი კოორდინირებას უწევს ბავშვის სკოლაში გადასვლასთან დაკავშირებულ სხვადასხვა პროცედურას.

აღნიშნული პირის/ჯგუფის ფორმირება შესაძლოა ხდებოდეს ყოველწლიურად ან ერთი და იგივე პირი/ჯგუფი სკოლას უფრო ხანგრძლივი დროით ჰყავდეს განსაზღვრული.

ტრანზიციის ხელშემწყობი პირის/ჯგუფის ფუნქციები შეიძლება მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს შემდეგით:

- ამყარებს კონტაქტს ბავშვის/ბავშვების მშობლებთან;
- ამყარებს კონტაქტს სხვა ჩართულ მხარეებთან. აღნიშნულ მხარეებს შეიძლება წარმოადგენდედნ: სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების და იმ სოციალური რეაბილიტაციის სერვისის თანამშრომლები, რომელშიც ჩართულია ბავშვი, ბავშვის თერაპევტი, სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდი და ბავშვთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვან პირები რომელთაც საკუთარი წვლილის შეტანა შეუძლიათ ბავშვის სკოლაში ტრანზიციის ხელშეწყობის პროცესში;
- წარმოადგენს მთავარ საკონტაქტო პირს სკოლისთვის - დამრიგებლისთვის, ადმინისტრაციისთვის;
- აორგანიზებს ბავშვის/ოჯახის სკოლაში ვიზიტებს, მშობელთან საინფორმაციო შეხვედრებს, სხვადასხვა ჩართული მხარის მონაწილეობით გაერთანებულ შეხვედრებს;
- ახდენს ბავშვისა და ოჯახის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის შეგროვებას, სხვა დაკავშირებული დოკუმენტაციის მობილიზებას და აღნიშნულის გაცნობას სკოლის დანარჩენი წარმომადგენლებისთვის - დამრიგებელისთვის, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტებისთვის, სკოლის ადმინისტრაციისთვის;
- აორგანიზებს ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმის შეხვედრებს და მონიტორინგს უწევს გეგმის განხორციელებას;
- ინიცირებს და მონიტორინგს უწევს სკოლის მიერ ბავშვის დასახვედრად და სასწავლო პროცესში ჩასართავად აუცილებელ ღონისძიებებს.



სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებთან თანამშრომლობა და ერთობლივი ღონისძიებების განხორციელება

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებები მნიშვნელოვან რესურს წარმოადგენენ ბავშვების სკოლაში ტრანზიციის ხელშეწყობასა და გადასვლის პროცესის უწყვეტობის შენარჩუნებაში. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებსა და სკოლებს შორის თანამშრომლობა ერთობლივად დაგეგმილ აქტივობებში აისახება, რაც თავის მხრივ, სკოლის მიერ შემუშავებული ტრანზიციის პროგრამის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

სკოლას გაცხადებული უნდა ჰქონდეს, რომ მისი გარემო მთელი წლის მანძილზე ღიაა სკოლამდელი განათლების დაწესებულებების აღსაზრდელებისთვის და მზად არის ღია კარის დღეების და სხვა მრავალფეროვანი აქტივოების საშუალებით ბავშვებს გააცნოს სკოლის კულტურა და გარემო, ზოგადად, სკოლისადმი პოზიტიურ განწყობა შეუქმნას მათ, იმისდა მიუხედავად, ამ კონკრეტულ სკოლაში წავლენ თუ არა მომავალში ბაღის აღსაზრდელები.

ამისათვის, სკოლას მთელი რიგი აქტივობები აქვს შემუშავებული და დაგეგმილი პარტნიორ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებთან. მთელი წლის მანძილზე სკოლებსა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს შორის თანამშრომლობითი კავშირი ერთ-ერთი საუკეთესო გზაა ყველა ბავშვის სკოლაში ტრანზიციის ხელშესაწყობად.

სკოლისა და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მიერ ერთობლივად განხორციელებული ღონისძიებები შეიძლება ითვალისწინებდეს:

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების აღსაზრდელების დიდ და შედარებით მცირე ჯგუფებად ვიზიტს სკოლაში, რაც შეიძლება მოიცავდეს:

- ✓ სკოლის ფიზიკური გარემოს, გაკვეთილის პროცესის გარკვეული თავისებურებების გაცნობას, სკოლის სადღესასწაულო ღონისძიებებზე დასწრებას, სკოლის მოსწავლეებთან ერთად სხვადასხვა ასაკობრივ აქტივობებში ჩართვას (მაგ.: ხატვა, თემატური აპლიკაციების მომზადება, მუსიკალური აქტივობები და სხვა).
- ✓ სკოლის წარმომადგენლების, მაგ.: მიმღები კლასის მასწავლებლების, სკოლის მოსწავლეების ვიზიტს ბაღში მომავალი პირველკლასელების გაცნობის, აღსაზრდელების სადღესასწაულო ღონისძიებებზე დასწრების, სკოლის მოსწავლეების და ბაღის აღსაზრდელების ერთობლივი აქტივობები განხორციელების მიზნით.
- ✓ სკოლამდელი განათლების დაწესებულების აღმზრდელების და სკოლის წარმომადგენლების ერთობლივ შეხვედრებს და კლასის ფიზიკური სივრცის მოწყობის და სასკოლო აქტივობების იმ თავისებურებების განხილვას, რაც სკოლის გარემოს ბაღის გარემოსთან დაახლოებს და სწავლის დაწყების საწყის ეტაპზე პირველკლასელებს ახალ გარემოში კომფორტულად და მშვიდად აგრძნობინებს თავს.
- ✓ სკოლის და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების წარმომადგენლების ერთობლივი შეხვედრა აღსაზრდელების მშობლებთან ბაღის ან/და სკოლის გარემოში. მშობლებისთვის თამაშის მნიშვნელობის, სკოლისათვის მოსამზადებელი აქტივობების გაცნობა.

! გასათვალისწინებელია, რომ ბავშვები საბავშვო ბაღიდან ყოველთვის არ მიდიან იმავე უბნის სკოლაში, რომელშიც ბაღია განთავსებული ან ყველა ბავშვი თავისი უბნის საბავშვო ბაღში არ დადის. მიუხედავად ამისა, სკოლებსა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს შორის თანამშრომლობა მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებს სწორი წარმოდგენა და შესაბამისი მოლოდინები ჩამოუყალიბდეთ სკოლის გარემოზე.

! ამავდროულად, მნიშვნელოვანია, რომ თუ ბავშვი მომავალი წლიდან იმ სკოლაში არ მიდის, რომელიც მის ბაღთან თანამშრომლობდა და რომლის გარემოს გაცნობიც შესაძლებლობაც ბავშვს ჰქონდა, ის ამის თაობაზე წინასწარ იყოს ინფორმირებული რათა შემდგომ გარკვეული სტრესი არ განიცადოს. სასწავლო წლის დაწყებამდე, ბავშვს იმ სკოლაში ვიზიტის/ვიზიტების შესაძლებლობაც უნდა მიეცეს, რომელშიც ახალი სასწავლო წლიდან უნდა ჩაერთოს.

ტრანზიციის აქტივობის მაგალითი

სკოლისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ბავშვების ერთობლივი აქტივობა	
გარემო	**სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება ან სკოლა**
მიზანი	სკოლის გაცნობა მომავალი პირველკლასელებისთვის და ახალ გარემოში გადასვლის გაადვილება
აქტივობა N1	N1 მიმღები კლასის მასწავლებლები თავის მოსწავლეებთან ერთად სტუმრობენ ან მასპინძლობენ ბაღის აღსაზრდელებს და აცნობენ სკოლის შესახებ წიგნს, რომელიც მოსწავლეებმა აღსაზრდელებისთვის თავად მოამზადეს. წიგნი შეიძლება იყოს როგორც ციფრული, ასევე მატერიალური სახით. სკოლის შესახებ ამბის გაცნობა ინტერაქტიულად მიმდინარეობს. მომავალი პირველკლასელები სვამენ მათთვის საინტერესო კითხვებს და გამოხატავენ საკუთარ მოსაზრებებე სკოლაზე.
რესურსი	კომპიუტერი, პროექტორი ან ქაღალდისგან ხელნაკეთი წიგნი
აქტივობა N2	მიმღები კლასის მასწავლებლები თავის სკოლის მოსწავლეებთან ერთად სტუმრობენ ან მასპინძლობენ ბაღის აღსაზრდელებს. სკოლის მოსწავლეებს მომზადებული აქვთ ფერადი ბარათები, რომლებზეც გამოსახულია სხვადასხვა აქტივობა და საგანი. ბარათების ნაწილის შინაარსი უკავშიდება სკოლას და ნაწილი არა. ბავშვები სხედან წრეში. სკოლის მოსწავლეები თანმიმდევრულად უჩვენებენ ბაღის აღსაზრდელებს ბარათებს. თამაშის წესით თანახმად, ბავშვებმა ხელები უნდა აწიონ მაღლა ან შემოკრან ტაში *(შეთანხმებისამებრ)* თუ ბარათზე გამოსახული აქტივობა/საგანი სკოლას უკავშირდება.
რესურსი	ბარათები, რომელზეც სხვადასხვა მოქმედება/აქტივობა და საგნებია გამოსახული
შენიშვნა	○ აქტივობა შეიძლება განხორციელდეს შედარებით მცირე ჯგუფებში. ○ აღნიშნული აქტივობები მნიშვნელოვანი კლასგარეშე საქმიანობაა სკოლის მოსწავლეებისთვისაც და შესაძლოა რომელიმე სწავლის შედეგთან/შედეგებთან იყოს დაკაშირებული.

კლასების ადრეული დაკომპლექტება და დამრიგებლის განსაზღვრა

მნშივნელოვანია, რომ მიმღები კლასების დაკომპლექტება და კლასის დამრიგებლის განსაზღვრა სასწავლო წლის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე ხდებოდეს რათა სასწავლო წლის დაწყებამდე ბავშვებს, მათ მშობლებსა და მასწავლებლებს ერთმანეთის გაცნობის შესაძლებლობა მიეცეთ.

კლასების ადრეულ დაკომპლექტებას და დამრიგებლის წინასწარ განსაზღვრას შემდეგი დადებითი შედეგები აქვს:

დამრიგებელს შესაძლებლობა ეძლევა სასწავლო წლის დაწყებამდე დაგეგმოს და განახორციელოს კლასის მომავალ მოსწავლეებთან და მშობლებთან როგორც ჯგუფური, ასევე ინდივიდუალური საორიენტაციო შეხვედრები.

ბავშვებს შესაძლებლობა ეძლევათ წინასწარ გაეცნონ და შეეგუონ მომავალ დამრიგებელს, ისევე, როგორც მასწავლებელს ეძლევა შესაძლებლობა წინასწარ გაიცნოს ბავშვები, გაეცნოს მათ საჭიროებებს, ძლიერ მხარეებსა და განსაზღვროს სასწავლო პროცესში მათი ჩართვის ხელშეწყობის გზები;

მასწავლებელსაც და მშობლებსაც შესაძლებლობა ეძლევათ გაუზიარონ თუ რა მოლოდინები გააჩნიათ ერთმანეთის მიმართ და რის გათვალისწინება უნდა მოხდეს სასწავლო პროცესში; საფუძველი ეყრება მშობლებსა და მასწავლებლებს შორის მომავალ თანამშრომლობას;

შესაძლებლობას იძლევა ბავშვი მის მეგობარ/მისთვის კარგად ნაცნობ ბავშვთან ერთ კლასში გადანაწილდეს. ეს შეიძლება იყოს მეზობელი, ნათესავი ან/და საბავშვო ბაღის ჯგუფის თანატოლი, რომელიც იმავე სკოლაში მიდის. აღნიშნული, ბავშვებს ბევრად უფრო მშვიდად და თავდაჯერებულად აგრძნობინებს თავს და ახალ გარემოში ადაპტაცის უადვილებს.

მასწავლებელს შესაძლებლობას აძლევს უფრო მომზადებული დახვდეს სპეციალური საგანმანათლებო საჭიროების მქონე ბავშვს, საჭიროების შემთხვევაში, წინასწარ გაძლიერდეს ბავშვის დასახვედრად, მიიღოს სხვადასხვა სპეციალისტის კონსულტაცია ან/დასასწავლო წლის დაწყებამდე გაიაროს შესაბამისი ტრენინგი.

მნიშვნელოვანია, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვისთვის კლასის დამრიგებლის შერჩევის საკითხი სკოლის ადმინისტრაციამ მშობელთან ერთად განიხილოს და მისი მოსაზრებებიც გაითვალისწინოს. კლასის დამრიგებლის შერჩევისას სკოლის ადმინისტრაციამ შემდეგი ფაქტორები შეიძლება გაითვალისწინოს:

- მასწავლებლის წინარე გამოცდილება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სწავლების კუთხით;
- მასწავლებლის მზაობა და მოტივაცია მხარდაჭერა გაუწიოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მომავალ მოსწავლეს;
- მასწავლებლის კომპეტენციები, უპასუხოს კონკრეტული ბავშვის საჭიროებებს და ხელი შეუწყოს სასწავლო პროცესში მის ეფექტურ ჩართვას.

სკოლაში ბავშვისა და მშობლების ვიზიტები

სკოლაში ბავშვებისა და მშობლების ვიზიტები შეიძლება იყოს უფრო ზოგადი, საორიენტაციო ტიპის (სანამ მშობელი სკოლის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს) და სკოლის უკეთ გასაცნობი (ბავშვის კონკრეტულ სკოლაში დარეგისტრირდების შემდეგ).

მას შემდეგ, რაც რეგისტრაციის პროცესი დასრულდება და სკოლას ეცოდინება მომავალი პირველკლასელები, მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებს და მშობლებს სასწავლო წლის დაწყებამდე რამდენიმე თვით ან სულ მცირე რამდენიმე კვირით ადრე სკოლის გარემოს, ძირითადი პერსონალის (მასწავლებელი, ადმინისტრაციის წარმომადგენლები, სპეციალისტები) და მომავალი თანაკლასელების გაცნობის შესაძლებლობა მიეცეთ.

გამომდინარე იქიდან, რომ მშობლები ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებენ ბავშვების სკოლაში ტრანზიციის მხარდაჭერაში, აუცილებელია, რომ ისინი ფლობდნენ სრულყოფილ ინფორმაციას სკოლის შესახებ, სკოლაში არსებულ რესურსებზე, დამატებით მომსახურებებზე, სხვადასხვა ადმინისტრაციულ საკითხე და ამასთანავე, კარგად ჰქონდეთ გაცნობიერებული როგორც სკოლის, ასევე საკუთარი პასუხისმგებლობები ბავშვის განათლების პროცესში.

ბავშვისა და მშობლის მიერ სკოლის გასაცნობი ვიზიტები, ჯგუფურად და საჭიროებისამებრ, ინდივიდუალურად შეიძლება ხორციელდებოდეს.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების დასახვედრად, სკოლა სათანადოდ უნდა მოემზადოს, ინფორმირებული იყოს ბავშვის როგორც სპეციფიკურ ინტერესებზე, შესაძლებლობებსა და სირთულეებზე, ასევე, ქცევით თავისებურებებსა და იმ მხარდაჭერაზე, რომელსაც ბავშვი იყენებს და სკოლაში ვიზიტის დროსაც შეიძლება დასჭირდეს.

<u>სკოლაში განხორციელებული ვიზიტების შედეგად, მშობლები, ისევე როგორც ბავშვები, ბევრად უფრო მშვიდად და უსაფრთხოდ გრძნობენ თავს სკოლის დაწყებასთან დაკავშირებით.</u>

ეფექტიანი ტრანზიციისთვის მნიშვნელოვანია, რომ ბავშვების მიერ კონკრეტული სკოლის გარემოს, კლასის დამრიგებლის და თანატოლების გაცნობა მოხდეს მას შემდეგ, რაც ბავშვები დარეგისტრირდებიან აღნიშნულ სკოლაში და მასში ადგილი ექნებათ გარანტირებული. კვლევების თანახმად, ბავშვებისთვის საკმაოდ სტრესული შეიძლება აღმოჩნდეს გამოცდილება, როდესაც ახლოს ეცნობიან სკოლას და თანატოლებს, რომელშიც მათი შეყვანა არ იგეგმება/რომელშიც არ ისწავლიან.

სკოლის მიერ ბავშვებისა და მათ მშობლებისთვის ორგანიზებული ვიზიტები შესაძლებლოა შემდეგ აქტივობებს მოიცავდეს:

სკოლის გარემოს, სხვადასხვა ფიზიკური სივრცის/მოწყობის, სკოლის ავეჯის, ინვენტარის, სკოლის სველ წერტილების გაცნობა და გამოყენების მოსინჯვა, სკოლის ზარის ხმის მოსმენა და მისი დანიშნულების გაგება, სკოლის სივრცეში ორიენტირება, დამრიგებელის, სკოლის სხვა პერსონალის, მათი როლებისა და ფუნქციების გაცნობა და სხვა. სკოლის გარემოში, ბავშვზე დაკვირვება, შესაძლებლობას იძლევა წინასწარ განისაზღვროს თუ რა შეიძლება მომავალში ბავშვს გაუადვილდეს ან გაუჭირდეს და როგორ შეიძლება ბავშვი, ოჯახი და სკოლა მოემზადოს სასწავლო წლის დაწყებამდე.

ბავშვების მიერ მომავალი თანაკლასელების გაცნობა, ერთობლივი აქტივობების განხორციელება, რომელიც კლასის დამრიგებლის მიერ წინასწარ იქნება დაგეგმილი;

მშობლების მიერ ერთმანეთის გაცნობა; შეხვედრა კლასის დამრიგებელთან, სხვა მასწავლებლებთან, სკოლის სპეციალისტებთან და ადმინისტრაციასთან. მათთვის აქტუალურ შეკითხვებზე პასუხების მიღება და არსებული მოლოდინების გაზიარება; აღნიშნული ტიპის შეხვედრები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს როგორც მშობლებსა და სკოლის წარმომდგენლებს, ასევე, მშობლებს შორის თანაშრომლობითი ურთიერთობის ჩამოყალიბებას.

ტრანზიციის აქტივობა სკოლის გარემოში	
გარემო	სკოლა
მიზანი	ბავშვებისთვის და მშობლებისთვის სკოლის გარემოს და სხვადასხვა მიზნიბრივი სივრცეების გაცნობა

აქტივობა N1	ბავშვები ათვალიერებენ სკოლის გარემოს და მშობლების დახმარებით ფოტოებს უღებენ სკოლის იმ ადგილებს და ინვენტარს(როგორც შენობის შიგნით, აევე მის გარეთ), რომლებმაც ყველაზე მეტად მოახდინა მათზე შთაბეჭდილება და მიიპყრო მათი ყარადღება. შემდგომ უკვე, სახლის გარემოში ბავშვები მშობლებთან ერთად ამზადებენ სკოლის ფოტოალბომს (ან ციფრულს ან ამობეჭდილი ფოტოებით ხელნაკეთს), უკეთებენ ფოტოებს წარწერებს, საუბრობენ ფოტოების ირგვლივ და იხსენებენ სკოალში განხრციელებულ ვიზიტს.
რესურსი	ფოტოაპარატი ან მობილური ტელეფონი, რომელსაც ფოტოების გადაღების შესაძლებლობა აქვს
აქტივობა N2	ბავშვები და მშობლები ნაწილდებიან მცირე ჯგუფებად. მათ უნდა იპოვონ სკოლის გარემოში დამალული რაიმე საგანი. ამისათვის, მოაწილეები უნდა მიყვნენ იმ მინიშნებებს, რომლებიც სკოლის სხვადასხვა ადგილას არის განთავსებული.
რესურსი	რაიმე საგანი, რომლის დამალვაც მოხდება, სკოლის გარემოში გაკეთებული სხვადასხვა მინშნებები (ისრები, წარწერები, ფურცლები ჩანაწერებით).

ტრანზიციის აქტივობა სკოლის გარემოში	
გარემო	სკოლა
მიზანი	თანატოლების მიერ ერთმანეთის გაცნობა
აქტივობა	ბავშვები სხვედან მერხებთან წრეში. მასწავლებელი ტომრიდან ან კოლოფიდან იღებს ბავშვების ფურცელზე დაწერილ სახელებს ან ფოტოებს, რომელიც მას წინასწარ აქვს მომზადებული. ის ბავშვი, რომელიც დასახელდა, თანატოლებს აცნობს სახლიდან წამოღებულ მისთვის საყვარელ ნივთს/სათამაშოს და უყვება საკუთარი თავის შესახებ.
რესურსი	სახლიდან წამოღებული ბვშვისთვის საყვარელი ნივთი/სათამაშო, ფურცლები ბავშვების სახელებით ან ბავშვების ფოტოები, ტომარა ან კოლოფი.
შენიშვნა	აღნიშნული აქტივობისთვის ბავშვები წინასწარ არიან მზად.

ტრანზიციის აქტივობა სკოლის გარემოში	
გარემო	სკოლა
მიზანი	მშობლების და სკოლის წარმომადგენლების მიერ ერთმანეთის გაცნობა, მოლოდინები გაზიარება

აქტივობა	მშობლები ერთ ფერად ფურცლებზე წერენ სკოლის მიმართ არსებულ მოლოდინებს, ხოლო მეორე ფერად ფურცელზე - საკუთარი თავის მიმართ არსებულ მოლოდინებს. კლასის მასწავლებელთან ერთად, შეხვედრაში მონაწილეობს ადმინისტრაციის წარმომადგენელიც. მშობლების მიერ დაწერილი მოლოდინები ჯგუფდება და მას შემდეგ, რაც სკოლის წარმომადგენელი გაახმოვანებს მშობლების მოლოდინებს, იმართება დისკუსია, თუ როგორ შეიძლება სკოლამ და მშობლებმა ითანამშრომლონ სასწავლო პროცესში, რათა არსებული მოლოდინები გამართლდეს.
რესურსი	ფერადი ბარათები, საწერი საშუალებები

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების ტრანზიციის მხარდაჭერა

როგორ უკვე აღინიშნა, სკოლის საერთო ტრანზიციის პროგრამის და სტანდარტულად განსაზღვრული აქტივობების ფარგლებში, ზოგიერთ ბავშვს შესაძლოა დამატებითი, სპეციფიკური მხარდაჭერა და ინდივიდუალურად განსაზღვრული პროცედურები დასჭირდეთ.

აღნიშნული დამატებითი, გაფართოებული მხარდაჭერა შეიძლება დასჭირდეთ:

- ✓ ბავშვებს, რომელთაც განვითარებისა და სწავლასთან დაკავშირებული სირთულეებით აქვთ ან ასეთი რისკის ქვეშ იმყოფებინ.
- ✓ ბავშვებს, სოციალურად დაუცველი ან ლინგვისტური უმცირესობის წარმომადგენელი ოჯახებიდან;
- ✓ ბავშვებს, რომლებმაც გადაიტანეს მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური სტრესი (მაგ.: მშობელთა განქორწინება, მათი ავადმყოფობა, ოჯახის წევრის დაკარგვა, იძულებით გადაადგილება, ძალადობა და ა.შ.).

იმ ბავშვების იდენტიფიცირება, რომელთაც გაფართოებული მხარდაჭერა სჭირდებათ დასჭირდებათ?

სკოლამ ინფორმაცია იმ ბავშვების შესახებ, რომელთაც ტრანზიციის პროცესიის ინდივიდუალურად მორგება შეიძლება დასჭირდეთ რამდენიმე გზით შეიძლება მოიპოვოს:

- სკოლის ვებ გვერდზე განთავსებულ „ბავშვის გასაცნობ ფორმაში“ მშობლის მიერ ბავშვის სპეციალურ საჭიროებების შესახებ ინფორმაციის ასახვა;
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებთან თანამშრომლობით;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისთვის განსაზღვრული წინასწარი რეგისტრაციის შედეგად და სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნასთან გაცნობით;
- ტრანზიციის ხელშემწყობი სკოლის სტანდარტული პროგრამის განხორციელების პროცესში;

ამრიგად, სკოლას შეუძლია სწავლის დაწყებამდე რამდენიმე თვით ან სულ მცირე რამდენიმე კვირით ადრე უკვე ნათელი წარმოდგენა იქონიოს სკოლაში მომავალ განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების შესახებ, ბავშვთან დაკავშირებით სხვადასხვა პირთან/სპეციალისტან თანამშრომლობით უფრო სიღრმისეული ინფორმაცია მიიღოს ბავშვის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმა შეადგინოს რათა მაქსიმალურად მომზადებული დახვდეს ბავშვს.

სკოლის საჭიროებების და რესურსების განსაზღვრა

მას შემდეგ, რაც სკოლა ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს გაეცნობა, მნიშვნელოვანია, რომ საკუთარი რესურსები და საჭიროებებიც განსაზღვროს იმ კონკრეტულ ბავშვთან მიმართებით, რომელსაც გაფართოებული მხარდაჭერა სჭირდება სკოლაში ტრანზიციის პროცესში. გაანალიზოს თუ რამდენად არის თავად მზად ბავშვის დასახვედრად. საკუთარი რესურსებისა და საჭიროებების შეფასება, სკოლას შესაძლებლობას მისცემს სხვადასხვა წინამოსამზდებელი ღონისძიებები გაატაროს ჯერ კიდევ სასწავლო წლის დაწყებამდე.

სკოლის მომზადება შეიძლება მოიცავდეს: მასწავლებლებისა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტების პროფესიულ გაძლიერებას ბავშვთან დაკავშირებულ კონკრეტულ საკითხებში, სკოლის ფიზიკური გარემოს გარკვეულ ადაპტაცას, კლასების განთავსებაში ცვლილებას (მაგ.: ბავშვის კლასის პირველ სართულზე განთავსება ეტლით მოსარგებლე მომავალი პირველკლასელისთვის ან აკუსტიკურად უფრო ხელსაყრელი კლასის შერჩევა სმენის სირთულების მქონე ბავშვისთვის).

<u>რესუსრებისა და საჭიროებების გასაანალიზებლად სკოლამ შესაძლოა შემდეგი კითხვები დაუსვას საკუთარ თავს:</u>

- რამდენად აკმაყოფილებს სკოლის ფიზიკური გარემო და მისი მოწყობა ბავშვის საჭიროებებს;

- არსებობს თუ არა სკოლაში საჭირო ინვენტარი, რაც ბავშვს შეუქმნის შესაძლებლობას, სხვებთან თანაბარ პირობებში მიიღოს მონაწილეობა სასწავლო და საგანმანათლებლო პროცესებში;
- ფლობენ თუ არა მასწავლებლები საჭირო კომპეტენციებს იმისათვის, რომ უპასუხონ ბავშვის ქცევის და კომუნიკაციის თავისებურებებს, შეარჩიონ და ეფექტურად გამოიყენონ სწავლების შესაბამისი მიდგომები და სტრატეგიები;
- არსებობს თუ არა სკოლაში საჭირო დამატებითი მომსახურებები და პროფესიონალები, რომლებიც იზრუნებენ მოსწავლის სასწავლო პროცესის და სკოლაში ფუნქციონირების მხარდაჭერაზე.

აღნიშნული ანალიზის შემდეგ, სკოლამ უნდა განსაზღვროს ის ღონისძიებები და გასატარებელი ცვლილებები რომლებიც კონკრეტული ბავშვის დასახვედრად არის აუცილებელი.

ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმა

საჭიროების შემთხვევაში, სკოლამ განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისთვის ინდივიდუალური ტრანზიციის პროცესი უნდა დაგეგმოს, რომელიც ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმაში აისახება.

ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმა წარმოადგენს დოკუმენტს, რომლის მიზანიც ბავშვის და მისი ოჯახის საჭიროებების ანალიზი და ამის საფუძველზე ტრანზიციის მიმდინარე ეტაპისთვის რელევანტური აქტივობების განსაზღვრაა. დოკუმენტში ნათლად აისახება ბავშვის სკოლაში ეფექტიანი გადასვლისა და ჩართვისთვის აუცილებელი ღონისძიებები, მათზე პასუხისმგებელი პირები და განხორციელების ვადები. აღნიშნული დოკუმენტი ერთობლივად დგება ტრანზიციის ხელშემწყობი გუნდის მიერ, რომლის მონაწილეც სკოლის წარმომადგენლებთან ერთად მშობლები და ბავშვთან დაკავაშირებული სხვა მნიშვნელოვანი პირები/მხარეები არიან.
ტრანზიციის გეგმის დოკუმენტი ათვალსაჩინოებს ყველა იმ აქტივობას, რომელიც როგორც ბავშვის უშუალო მონაწილეობით, ასევე, მისი ოჯახისა და სხვა ჩართული პირების მიერ ხორციელდება. ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმა შეიძლება მოიცავდეს ისეთი აქტივობებს/ღონისძიებებს, როგორიცაა:

- ✓ ბავშვის საჭიროებების სიღრმისეული შეფასება *(იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ბავშვის შეფასება ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმის შედგენამდეა ჩატარებული);*
- ✓ ბავშვის სკოლაში ტრანზიციის მხარდამჭერი ქსელის განსაზღვრა-ფორმირება (*(იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ბავშვის ტრანზიციის მხარდაჭერი ქსელი ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმის შედგენამდეა ფორმირებული);*

- ✓ გაერთიანებული შეხვედრა/შეხვედრები ყველა ჩართული პირის/მხარის მონაწილეობით;
- ✓ სკოლისათვის ბავშვისა და ოჯახის მომსამზადებელი აქტივობები (მაგ.: სახლის, სკოლამდელი აღზრდის ან თერაპიულ გარემოში ბავშვთან სკოლაში დამოუკიდებლად ფუნქციონირებისთვის აუცილებელ უნარებზე მუშაობა,ი ვიზიტები და სხვა);
- ✓ ბავშვის დასახვედრად სკოლის მიერ გასატარებელი აქტივობები (მაგ.: სკოლის გარემოს აკომოდაცია, მხარდამჭერი სპეციალისტის შერჩევა/მომზადება, მასწავლებლის პროფესიულ გაძლიერების ტრენინგი, სასწავლო პროცესისთვის დამატებითი მასალის მობილიზება, მომავალი თანაკლასელებისთვის ბავშვის გასაცნობად შესაბამისი ფორმატის შემუშავება და სხვა).

ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმის მაგალითი

აქტივობა	განხორციელების ვადა / თარიღი	პასუხისმგებელი მხარე / პირი	შენიშვნა
ბავშვის და მშობლის ინიდვიდუალური საორიენტაციო ვიზიტი სკოლაში	ივნისი	ტრანზიციის კოორდინატორი	
ბავშვის სკოლაში ვიზიტი მომავალ თანაკლასელების გაცნობის მიზნით	ივლისის ბოლო	ტრანზიციის კოორდინატორი, კლასის დამრიგებელი	
ბავშვთან ტუალეტის საჭიროების გამოხატვაზე მუშაობა	15 სექტემბრამდე	თერაპევტი, მშობელი	
სასწავლო პროცესისთვის ასისტენტის მოძიება და მომზადება ბავშვის	15 სექტემბრამდე	სკოლის ადმინისტრაცია, მშობელი	
საკლასო ოთახის პირველ სართულზე ორგანიზება	15 სექტემბრამდე	სკოლის ადმინისტრაცია	
ბავშვისთვის ასისტენტის ოფიციალურად დაქირავება	20 სექტემბრამდე	სკოლის ადმინისტრაცია	

ბავშვის სკოლაში ტრანზიციის მხარდამჭერი ქსელის ფორმირება და გაერთანებული შეხვედრის ორგანიზება

ტრაზიციის პროცესი სექტორებს შორის თანამშრომლობას გულისხმობს. როგორც ვნახეთ, ბავშვის ფუნქციონირების შესახებ სრულფასოვანი ინფორმაციის მოპოვება სკოლას ისეთი ჩართული მხარეებისგან შეუძლია როგორიცაა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების, სხვადასხვა სოციალური სერვისის წარმომადგენელი თერაპევტები, სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდი. სკოლამ აღნიშნული პირები და მხარეები მოკავშირედ და

მხარდამჭერად უნდა განიხილოს, რადგან მათი მხარდაჭერა არამარტო ბავშვის შესახებ ინფორმაციის მიწოდებაში მდგომარეობს, არამედ ბავშვის ტრანზიციის მთლიან პროცესში მონაწილეობაში მას შემდეგაც კი, როდესაც ბავშვი ფორმალურად დაიწყებს სკოლას. ჩართულმა სპეციალისტებმა სკოლას შეიძლება საკუთარი გამოცდილება და ექსპერტიზა გაუზიარონ კლასში ბავშვის ქცევის მართვის, ბავშვთან ეფექტური კომუნიკაციის, თანატოლებთან ურთიერთობისა და სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი სტრატეგიების კუთხით.

ბავშვის ირგვლივ ფორმირებული მხარდამჭერი გუნდის აუცილებლ და მნიშვნელოვან წევრს მშობელი წარმოადგენს და სწორედ მშობელია ის წამყვანი ფიგურა, რომელიც სკოლასა და ბავშვთან დაახლოებულ სხვა პირებს/პროფესიონალებს აკავშირებინებს ერთმანეთთან.

სკოლამ კოორდინირება უნდა გაუწიოს ბავშვთან დაკავშირებული სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლის გაერთანებულ შეხვედრას, რომლის დროსაც მოხდება ბავშვის შესახებ ინფორმაციის ერთმანეთისთვის გაზიარება, მხარდაჭერის გზების ერთობლივად განსაზღვრა და საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმის შემუშავება.

გამომდინარე იქიდან, რომ სხვადასხვა სფეროში მომუშავე ადამიანების ერთობლივი შეხვედრების ორგანიზება ხშირად გამოწვევას წარმოადგენს, აღნიშნული პრობლემის შედარებით მარტივად გადაჭრა ონლაინ შეხვედრის ორგანიზებით არის შესაძლებელი ისეთი ვებ პლატფორმის გამოყენებით როგორიცაა მაგალითად Zoom, FB messenger, skype ან სხვა ნებისმიერი ინტერნეტ პლატფორმა.

ასეთი მხარდამჭერი ქსელის ფორმირება და შენარჩუნება სკოლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რათა საუკეთესო სახით უპასუხოს ბავშვის სკოლაში ფუნქციონირებასა და სასწავლო პროცესში ჩართვასთან დაკავშირებულ საჭიროებებს.

<u>სასწავლო წლის დაწყების შემდეგ ჩართული მხარეების მიერ გაწეული მხარდაჭერა შეიძლება მოიცავდეს:</u>

- ✓ სკოლაში სპეციალისტის ვიზიტს და სასწავლო პროცესში ბავშვზე დაკვირვებას, მასწავლებლის, სკოლის სპეციალისტების კონსულტირებას;
- ✓ სკოლისთვის სატელეფონო ან და ონლაინ კონსულტაციის გაწევას;
- ✓ სკოლისთვის წერილობითი რეკომენდაციების გაზიარებას;
- ✓ სკოლისთვის ბავშვთან გამოსაყენებელი დამხმარე სასწავლო მასალის მომზადება-გაზიარებას;
- ✓ ბავშვის სკოლაში ეფექტური ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანი უნარების გაზლიერებაზე მუშაობას თერაპიულ გარემოში;

სკოლის დაწყების შემდგომი მხარდაჭერა -პირველი დღეები სკოლაში

ტრანზიციის ხელშეწყობის პროცესი არ სრულდება ახალი სასწავლო წლის ფორმალური დაწყებით და ბავშვის სკოლაში ფიზიკური მისვლით. ბავშვისთვის გაწეული მხარდაჭერის შენარჩუნება მნიშვნელოვანია მანამ, სანამ ახალი არ გახდება ბავშვისთვის უკვე კარგად ნაცნობი/ჩვეული და ემოციურად უსაფრთხო. ასეთივე ემოციური უსაფრთოხების მდგომარეობა მნიშვნელოვანია მშობლებისთვისაც. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ბავშვებისთვის სკოლის დაწყების პირველი დღეების დაგეგვას.

სკოლის პირველი დღე განსაკუთრებულად ემოციურია ბავშვების უმეტესობისთვის. სკოლამ უნდა გაითვალისწინოს, რომ პირველკლასელების დახვედრის სტანდარტული პროცედურა შესაძლოა ყველა ბავშვის ინდივიდუაურ საჭიროებებს არ ეხმიანებოდეს. მაგალითისთვის, ბავშვისთვის შეიძლება სტრესული იყოს ხალხმრავალი და ზედმეტად ხმაურიანი გარემო, მშობელის გარეშე უცხო ადამიანების გარემოცვაში აღმოჩენა და სხვა, იმის მიუხედავად, რომ სკოლის დაწყებას წინ შესაძლოა ბავშვის მოსამზადებელი აქტივობები უსწრებდა.

მნიშვნელოვანია, რომ ტრანზიციის პროგრამით განსაზღვრული იყოს პირველი დღის ღონისძიებები და პირველი სასწავლო დღეების ფარგლებში ბავშვებისა და მშობლებისთვის გასაწევი მხარდაჭერა. ტრანზიციის პროგრამა უნდა ითვალისიწნებდეს ისეთ ასპექტებს, როგორიცაა:

- როგორ არგებს სკოლა დახვედრის პირველ დღეს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს (როდესაც განსაკუთრებული საჭიროება იკვეთება);
- რგორ რეაგირებს სკოლა თუ ბავშვი პირველ დღეს/დღეებში სტრესს განიცდის;
- როგორ რეაგირებს სკოლა, როცა ბავშვს უჭირს გაკვეთილზე/გაკვეთილზებზე მშობლის გარეშე დარჩენა;
- როგორ უწყობს ხელს სკოლა ბავშვს როცა მას თანატოლებთან ურთიერთობის დამყარება უჭირს;
- რა ღონისძიებებს ატარებს მშობელთან თანამშრმოლობითი ურთიერთობის დასამყარებლად სკოლის დაწყების პირველივე დღეებიდან;

სკოლაში პირველი დღის ერთ-ერთ მნიშვნელოვან აქტივობას წარმოადგენს ბავშვების მიერ ერთმანეთის გაცნობა. ცალკეულ სკოლას შესაძლოა მოსწავლეების მიერ ერთმანეთის გაცნობის განსხვავებული ფორმატი ჰქონდეს შემუშავებული, თუმცა, აუცილებელია, რომ თანატოლებების გაცნობისა და საკუთარი თავის წარდგენის აქტივობა მაქსიმალურად

ითვალისწინებდეს კლასში მყოფი ბავშვების ინდივიდუალურ საჭიროებებს. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე იმ ბავშვების შემთხვევაში, რომელთაც სხვადასხვა მიზეზით კომუნიკაციის და საკუთარი თავის წარდგენის სირთულე აქვთ, თანატოლებისთვის ბავშვის გაცნობის ეფექტური საშუალებად საკომუნიკაციო პასპორტი შეიძლება გამოდგეს.
საკომუნიკაციო პასპორტი მარტივი, პოზიტიური და ყველასათვის მისაწვდომი ფორმით შეჯამებულად ასახავს ბავშვის შესახებ ინფორმაციას, მის ხედვებს, ინტერესებს, ძლიერ მხარეებს, საჭიროებებს, ბავშვთან კომუნიკაციის დამყარების ყველაზე ეფექტურ გზებბს და სხვა. საკომუნიკაციო პასპორტში ბავშვის შესახებ ინფორმაციასთან ერთად შესაძლოა შესაბამის ვიზაულურ მასალასაც მოიცავდეს. ამრიგად, საკომუნიკაციო პასპორტი სასარგებლო, ინფორმატიული და სახალისო დოკუმენტია. საკომუნიკაციო პასპორტი ბავშვის ჩართულობით მშობლის მიერ შეიძლება მომზადდეს.
საკომუნიკაციო პასპორტის მომზადება დამრიგებელმა მშობელთან სასწავლო წლის დაწყებამდე უნდა შეათანხმოს და სკოლის პირველ დღეს ბავშვს საკომუნიკაციო პასპორტის საშუალებით კლასისთვის თავის გაცნობაში დაეხმაროს.

საკომუნიკაციო პასპორტის მომზადების შესახებ მეტი ინფორმაცია შეიგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე : http://inclusion.ge/res/docs/2020090516172537716.pdf

მხარდაჭერილი ტრანზიციის შედეგები - პროცესის შეფასება

სწავლის დაწყების პირველ პერიოდში, სკოლამ უნდა განსაზღვროს შეიძლება თუ არა ბავშვების სკოლაში ტრანზიცია წარმატებულად ჩაითვალოს და ხომ არ სჭირდება რომელიმე ბავშვს და/ან მშობელს დამატებითი მხარდაჭერა. აღნიშნული მიზნით, სკოლას შეუძლია შესაბამისი ინდიკატორებით იხელმძღვანელოს:

წარმატებული ტრანზიციის ინდიკატორები

☒ ბავშვი ადვილად შორდება მშობელს სკოლაში მისვლისას და მშვიდად რჩება მის გარეშე;
☒ ბავშვი თავს გრძნობს უსაფრთხოდ, დაცულად;
☒ საჭიროების შემთხვევაში, ბავშვი ითხოვს დახმარებას და იღებს საჭირო დახმარებას;
☒ სკოლის გარემოში ბავშვი ავლენს სოციალურ და ემოციურ შეგუებას;
☒ ბავშვი ესწრება და მონაწილეობს სასწავლო პროცესში და იღებს უწყვეტ სასწავლო გამოცდილებას;
☒ ბავშვი ავლენს ცოდნას სკოლის გარემოს - ფიზიკური სივრცის, სასკოლო რუტინის, ძირითადი პერსონალისა და მათი როლების შესახებ;
☒ ბავშვი ურთიერთობს თანატოლებთან, იძენს და ინარჩუნებს მეგობრებს;

☒ ბავშვი სვამს კითხვებს, იძლევა პასუხებს და მონაწილეობს საკლასო დისკუსიებში/აქტივობებში;
☒ ბავშვი ავლენს სწავლისადმი დისპოზიციას, იკვლევს, მოსინჯავს სიახლეებს;
☒ ბავშვი ამყარებს პოზიტიურ კომუნიკაციას მასწავლებლებთან და სკოლის თემის სხვა წარმომადგენლებთან;
☒ ბავშვს ჩამოუყალიბდა საკუთარი თავის, როგორც მოსწავლის აღქმა და აქვს სკოლის თემთან მიკუთვნებულობის განცდა;
☒ მშობელი ადვილად ტოვებს ბავშვს სკოლის გარემოში და არ ავლენს ბავშვის საკუთარი მეთვალყურეობის გარეშე დატოვებასთან დაკავშირებულ შფოთვას;
☒ ოჯახი ჩართულია ბავშვის სასკოლო ცხოვრებაში და თანამშრომლობს ბავშვის სწავლების პროცესში;
☒ ოჯახსა და სკოლას შორის ურთიერთობა ორმხრივი და პატივისცემაზე დაფუძნებულია;
☒ საგანმანათლებლო პერსონალი ხელს უწყობს მშობლებს კომპეტენციისა და თვითდაჯერებულობის შეძენაში ბავშვის მხარდაჭერის პროცესში;

ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ სრული პროცესის და ტრანზიციის პროგრამის შეფასება განახორციელოს თვითრეფლექსიის ინსტრუმენტის გამოყენებით. თვითრეფლექსიის შედეგებზე დაყრდნობით და არსებული პრაქტიკის გაანალიზებით, სკოლას მომავალი პირველკლასელების დასახვდედრად უფრო ეფექტიანად მომზადების და ტრანზიციის პროგრამაში საჭირო ცვლილებების გატარების შესაძლებლობას მიეცემა.

მხარდაჭერილი ტრანზიციის შედეგები

როგორც ვნახეთ, სკოლაში ტრანზიცია დროში განსაზღვრული პროცესია და ყველა ბავშვისთვის განსხვავებულ პერიოდს, ხანგრძლივობას და მხარდაჭერის ფორმებს შეიძლება მოიცავს. რაც უფრო ადრე იწყება ზრუნვა ბავშვის სკოლაში გადასვლისთვის მომზადებაზე, მით უფრო მეტად მომზადებული ხვდება ახალ სასწავლო პროცესს როგორც ბავშვი, ასევე მისი ოჯახი და მიმღები გარემო, სკოლაც. სწორედ აღნიშნულ პერსპექტივას ეფუძნება ტრანზიციის უზრუნველყოფის თანამედროვე საერთაშორისო პრაქტიკა, რომლის ფარგლებშიც „სკოლისათვის მზაობა“ არამარტო ბავშვის, არამედ ოჯახის, თემის, მზაობასაც მოიაზრებს. აღნიშნული მრავალი ფაქტორის ურთიერთქმედება და ყველა ჩართული მხარის „მზაობა“ ახდენს ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ბავშვის სკოლაში წარმატებულ ტრანზიციასა და სკოლის პოზიტიურ დაწყებაზე.

შესაბამისად, დაგეგმილი და მხარდაჭერილი ტრანზიციის შედეგები ყველა ჩართულ მხარეზე პოზიტიურად აისახება:



ბავშვები:

- ✓ პოულობენ პასუხებს კითხვებზე თუ როგორია ახალი გარემო? რა აქტივობები დახვდებათ ახალ გარემოში? რა მოხდება/რა ხდება იქ განსხვავებული? რას მოელიან მისგან ახალ გარემოში? რა მოლოდინები შეიძლება ჰქონდეთ თავად? რა ცვლილებები მოხდება მათ ცხოვრებაში?
- ✓ ბევრად უფრო უსაფრთხოდ და დაცულად გრძობენ თავს ახალ გარემოში, მეტად არიან დაკავშირებული სკოლის თემთან, უფრო ეფექტურად ამყარებენ კომუნიკაციას და თავდაჯერებულად გრძნობენ თავს.
- ✓ შემდგომში უკვე, გამოხატავენ მეტ ჩართულობას სასწავლო პროცესში, ავლენენ მეტ ავტონომიურობას და სწავლისადმი მეტ ინტერესს, დისპოზიციას და ენთუზიაზმს.
- ✓ ბავშვებს გადააქვთ და იყენებენ სკოლის კონტექსტში მანამდე მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას.

მშობლები:

- ✓ უმცირდებათ ბავშვის სკოლაში წასვლასთან დაკავშირებული შფოთვა, რადგან სათნადოდ ინფორმირებულები ხდებიან სკოლაში მიმდინარე აქტივობების, სკოლის რესურსების, მოთხოვნების და ბავშვზე პასუხისმგებელი პირების შესახებ;
- ✓ მეტ თავდაჯერებულობას, უსაფრთხოების განცდას იძენენ და სკოლისადმი მეტ ნდობას გამოხატავენ;
- ✓ მეტად ერთვებიან მომავალშიც სკოლის ცხოვრებაში და სკოლის მოკავშირეები ხდებიან ბავშვის სწავლა-სწავლების პროცესში;

სკოლა:

- ✓ წინასწარ ინფორმირებულია ბავშვის საჭიროებებისა და შესაძლებლობების, ასევე ოჯახის რესურსების შესახებ და სწორი მოლოდინებით ხვდება ბავშვს;
- ✓ წინასწარ ამზადებს ბავშვისთვის საჭირო ადამიანურ თუ ტექნიკურ-მატერიალურ რესურსს და მეტად მომზადებული ხვდება ბავშვს;
- ✓ უფრო წარმატებული ხდება ბავშვის სწავლა-სწავლების პროცესში, წინასწარ აძლიერებს ბავშვის მომავალ მასწავლებლებს და სპეციალისტებს, რაც მომავალში ამცირებს წარუმატებლობებს;
- ✓ მშობლისა და სხვა ჩართული მხარეების სახით, რომლებიც ტრანზიციის პროცესში ჩაერთვენ, მნიშვნელოვან და მდგრად მოკავშირეებსა და მხარდამჭერებს იძენს.

სკოლის ტრანზიციის პროგრამა *(მაგალითი)*

12 თვე სასწავლო წლის დაწყებამდე					
ტრანზიცია მიმდინარე პროცესია. შესაბამისად, ბევრი აქტივობა (მაგ.: სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებთან თანამშრომლობა, დაინტერესებულ მშობლებთან კომუნიკაცია და სხვა) შეიძლება მთელ წელს მოცავდეს. ცხრილში წარმოდგენილი აქტივობები და პერიოდები, მხოლოდ მაგალითისვისაა მოცემული და შესაძლოა საჭიროებდეს შეცვლასა და მორგებას ცალკეული სკოლის მიერ. ასევე გასათვალისწინებელია, რომ ტრანზიციის პროცესი ინდივიდუალური ბავშვის უნიკალურ საჭიროებებს უნდა ეხმიანებოდეს და მასზე იყოს მაქსიმალურად მორგებული. ამრიგად, ცალკეული ბავშვის შემთხვევაში, ტრანზიციის პროცესს განსხვავებული ხანგრძლივობა და განსხვავებული აქტივობები შეიძლება ჰქნდეს ვიდრე ცხრილშია მოცემული.					
სექტემბერი-ოქტომბერი	**ნოემბერი-დეკემბერი**	**იანვარი-თებერვალი-მარტი**	**აპრილი-მაისი**	**ივნისი-ივლისი-აგვისტო**	**სექტემბერი-ოქტომბერი**
○ ბავშვების სკოლის გარემოსთან და სასწავლო პროცესთან ადაპტირება; ○ ტრანზიციის პროცესის შეფასება; ○ მომავალი წლისთვის ტრანზიციის კოორდინატორის განსაზღვრა; ○ სკოლის მიერ საინფორმაციო ბროშურის განახლება; ○ ტრანზიციის პოლიტიკასა და პრაქტიკაში საჭირო ცვლილებების შეტანა; ○ სკოლის ტრანზიციის პროგრამაში ცვლილებების შეტანა;	○ სკოლებისა და სხვა უწყებების მიერ (მაგ.: ბაღთან) ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა/ შეთანხმება; ○ სკოლის ვებ გვერდზე რეგისტრაციისა და ბავშვის გასაცნობი ფორმის განთავსება/განახლება; ○ ბავშვის გასაცნობი ფორმების დამუშავება, დაინტერესებულ მშობლებთან ~~და~~ კომუნიკაციის დამყარება;	○ ბაღებთან ერთობლივად დაგეგმილი აქტივობების განხორციელება; ○ ღია ბარათის გაგზავნა სსსმ პირის სტატუსით დარეგისტრირებულ ბავშვებთან და კომუნიკაციის ინიცირება;	○ ღია ბარათის გაგზავნა დარეგისტრირებულ ბავშვებთან და კომუნიკაციის ინიცირება; ○ სსსმ ბავშვების ტრანზიციის გაერთიანებული შეხვედრები, ტრანზიციის გეგმის შედგენა; ○ ინდივიდუალური საორიენტაციო ვიზიტები სკოლასი;	○ კლასების დაკომპლექტება; ○ ბავშვების და ოჯახების საორიენტაციო ვიზიტები სკოლაში;	○ ბავშვების სკოლის გარემოსთან შეგგუების ხელშეწყობა; ○ ტრანზიციის პროცესის შეფასება; ○ ტრანზიციის მხარდაჭერის სკოლის პოლიტიკასა და პრაქტიკაში შესატანი ცვლილებების განსაზღვრა;

სკოლის საინფორმაციო ბროშურის მაგალითი

სკოლის დაწყების მხარდამჭერი პროგრამა მოიცავს შემდეგ აქტივობებს:

- სკოლაში საორიენტაციო ვიზიტები
- კლასის დამრიგებლის გაცნობა
- სკოლის გარემოს გაცნობა ბავშვებისა და მშობლებისთვის
- ბავშვის მიერ მომავალი თანაკლასელების გაცნობა
- მშობლის მიერ კლასის სხვა მშობლების გაცნობა
- საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური შეხვედრები ბავშვთან და მშობელთან
- ჩვენი სკოლა თანამშრომლობს თემის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებთან

თუ ბავშვს განსაკუთრებული საჭიროებები აქვს:

- მაქსიმალურად შევეცდებით, რომ სკოლის გარემო მომზადებული დახვდეს ბავშვს
- სასწავლო პროცესში ბავშვს გავუწევთ საჭირო მხარდაჭერას
- მოვაწყობთ გაერთანებული შეხვედრებს, რომელზეც უფრო კარგად გავიცნობთ ბავშვს
- შევადგენთ ბავშვის სკოლაში შემოსვლის ხელშეწყობის ინდივიდუალურ გეგმას, რომელიც გაუადვილებს ბავშვს სკოლის დაწყებას
- გეგმის შედგენაში შეიძლება ჩაერთონ ბავშვის ბაღის აღმზრდელები, თერაპევტები, ბავშვთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი პირი ვისაც თქვენ ჩათვლით საჭიროდ და რა თქმა უნდა თქვენ!

გაეცანი ჩვენ სკოლას

- ✓ ჩვენი სკოლა ღიაა ყველა ბავშვისთვის, მათ შორის განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისთვის
- ✓ თუ ჯერ არ გაქვთ შერჩეული სკოლა, შეგიძლიათ გვესტუმროთ და უფრო ახლოს გაცნოთ ჩვენს სკოლას
- ✓ ჩვენ სკოლაში ფუნქციონირებს სპორტული და ხელოვნების კლასგარეშე წრეები;
- ✓ სკოლიდან 300 მ დაშორებით არის საცურაო აუზი;
- ✓ სკოლა ხელმისაწვდომია საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის;
- ✓ სკოლას ჰყავს დამხმარე სპეციალისტთა ჯგუფი: სპეციალური მასწავლებლები და ფსიქოლოგი;
- ✓ სკოლის შესასვლელი და სველი წერტილები ადაპტირებულია ეტლით მოსარგებლე ბავშვებისთვის;

ბავშვის გასაცნობად

გთხოვთ, შეავსოთ სკოლის ვებ გვერდზე განთავსებული **ბავშვის გასაცნობი ფორმა**, რომელიც დაგვეხმარება უკეთ გავიცნო ბავშვი და სათანადოდ მომზადებული დავხვდეთ მას



მეტი ინფორმაციისთვის:

- მოგვწერეთ ჩვენს ელექტრონულ ფოსტაზე:XXX
- დაგვიკავშირდით ნომერზე: XXX
- გვესტუმრეთ მისამართზე:XXX

თქვენი სკოლა გელით!

სკოლის ფოტო ალბომის მაგალითი

გაეცანით ჩვენ სკოლას

ჩვენი სკოლის შენობა

სკოლის დერეფანი

კლასები პირველკლასელებისთვის

სპორტული დარბაზი

სველი წერტილები

სკოლის სასადილო

სკოლის სკვერი

ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმის ფორმის მაგალითი

ტრანზიციის პროცესის დაწყების თარიღი	რიცხვი / თვე / წელი --------- / ------ / -------

ინფორმაცია ბავშვის შესახებ	
ბავშვის სახელი / გვარი	
ბავშვის ასაკი	
ბავშვის დაბადების მოწმობის ნომერი	

ინფორმაცია ოჯახის შესახებ	
მშობლის / კანონიერი წარმომადგენლის სახელი / გვარი	
მშობლის / კანონიერი წარმომადგენლის ტელეფონი	
მშობლის / კანონიერი წარმომადგენლის ელექტრონული მისამართი	
ბავშვის საცხოვრებელი მისამართი	

ინფორმაცია გამშვები დაწესებულების / დაწესებულებების შესახებ			
☐ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება	☐ ადრეული ინტერვენციის პროგრამა	☐ რეაბილიტაცია / აბილიტაციის მომსახურება	☐ სხვა ----------
დაწესებულების სახელი ----------	დაწესებულების სახელი ----------	დაწესებულების სახელი ----------	დაწესებულების სახელი ----------
მისამართი: ----------	მისამართი: ----------	მისამართი: ----------	მისამართი: ----------
ელფოსტა: ----------	ელფოსტა: ----------	ელფოსტა: ----------	ელფოსტა: ----------
ტელეფონი: ----------	ტელეფონი: ----------	ტელეფონი: ----------	ტელეფონი: ----------
ტრანზიციის მხარდამჭერი პირი: ----------	ტრანზიციის მხარდამჭერი პირი: ----------	ტრანზიციის მხარდამჭერი პირი: ----------	ტრანზიციის მხარდამჭერი პირი: ----------

ინფორმაცია მიმღები დაწესებულების შესახებ (ივსება მიმღები დაწესებულების შერჩევის შემდეგ)	
☐ სკოლა ☐ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება ☐ სხვა ----------	
დაწესებულების სახელი:	
მისამართი:	
ელფოსტა:	
ტელეფონი:	
ტრანზიციის მხარდამჭერი პირი:	

შენიშვნა: ქვემდებარე ბლოკი ივსება ტრანზიციის გუნდის ყოველი ახალი შეხვედრისას

ტრანზიციის გუნდის ---------- შეხვედრა	რიცხვი / თვე / წელი -------- / -------- / --------
მონაწილე პირები	
პოზიცია ---------- ---------- ----------	სახელი / გვარი ---------- ---------- ----------

გეგმა მონაწილე მხარეებისთვის			
აქტივობა	განხორციელების ვადა / თარიღი	პასუხისმგებელი მხარე / პირი	შენიშვნა
1.			
2.			
3.			
4.			
შედეგი: (ივსება მომდევნო შეხვედრაზე, შესრულებულ აქტივობებზე რეფლექსიის საფუძველზე)			